№ 05/10
საქართველოს იუსტიციის
სამინისტრო
შეტანილია ნორმატიული აქტების
სახელმწიფო რეესტრში და მინიჭებული
აქვს სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი
" 3 " თებერვალი 2010 წ.
№ 200230000351330020 68

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №4

2010 წლის 28 იანვარი
დ. ხელვაჩაური

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და გადასახადის განაკვეთების განსაზღვრის შესახებ

,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,პ" და ,,ჟ" ქვეპუნქტების, აგრეთვე საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-10, 65-ე, 271-ე - 276-ე მუხლებისა და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. შემოღებული იქნას ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი (ქონების) გადასახადი.

2. განისაზღვროს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქონების გადასახადის განაკვეთები, თანახმად დანართისა.

3. ამ დადგენილების კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღების შესახებ" ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 04 მაისის № 4/6 დადგენილება.

4. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2010 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

საკრებულოს თავმჯდომარე: როინ მალაყმაძე

ADJARA ASSEMBLY OF THE KHELVACHAURI MUNICIPALITY • GEORGIA
248428205

დანართი
დამტკიცებულია
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2010 წლის 28 იანვრის №4 დადგენილებით

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქონების გადასახადის განაკვეთები

1. საწარმოსთვის /ორგანიზაციისთვის დასაბეგრ ქონებაზე, გარდა მიწისა, გადასახადის წლიური განაკვეთი განისაზღვროს დასაბეგრი ქონების საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულების (გამოიანგარიშება კალენდარული წლის დასაწყისისა და ბოლოსთვის აქტივების საშუალო ღირებულების მიხედვით) 1%-ის ოდენობით.

2. საწარმოსთვის /ორგანიზაციისთვის ლიზინგით გაცემულ დასაბეგრ ქონებაზე გადასახადის წლიური განაკვეთი განისაზღვროს დასაბეგრი ქონების საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულების (გამოიანგარიშება კალენდარული წლის დასაწყისისა და ბოლოსთვის აქტივების საშუალო ღირებულების მიხედვით) 1 %-ის ოდენობით.

3. ფიზიკური პირისთვის დასაბეგრ ქონებაზე, გარდა მიწისა, გადასახადის წლიური განაკვეთი დიფერენცირებულია გადასახადის გადამხდელის ოჯახის მიერ საგადასახადო წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლების მიხედვით და განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

ა) 100 000 ლარამდე შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის საგადასახადო პერიოდის ბოლოსათვის დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულების 0.1%;

ბ) 100 000 ლარისა და მეტი შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის-საგადასახადო პერიოდის ბოლოსათვის დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულების 1 %;

4. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადის წლიური საბაზისო განაკვეთი (დიფერენცირებულია მიწის ხარისხის მიხედვით) დადგინდეს წელიწადში ერთ ჰექტარზე გაანგარიშებით, ლარებში:

ა) სახნავი და მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული მიწებისათვის:

საბაზისო განაკვეთი (ლარი/ჰა)	
მიწის ხარისხი	
კარგი	მწირი
44	24

ბ) ბუნებრივი სათიბებისა და საძოვრებისათვის:

საბაზისო განაკვეთი (ლარი/ჰა)			
სათიბები	საძოვრები	გაკულტურებული	
		სათიბები	საძოვრები
6	3	8	4

5. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 1 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების წლიური გადასახადი განისაზღვროს 0.24 ლარის ოდენობით.

6. ბუნებრივი საძოვრებისათვის დადგენილი განაკვეთით იბეგრება ბუნებრივი რესურსებით მოსარგებლე პირისათვის შესაბამისი ლიცენზიის გაცემის საფუძველზე გამოყოფილი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა.